



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება N329/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N 23.59.125; N23.59.127 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი ხელახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ქ. ქუთაისი

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ო“- ქვეპუნქტის, 76-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის N16/2020 დადგენილებისა და ცესკოს 2020 წლის 10 ივლისის N52/2020 განკარგულების საფუძველზე, N59 ქუთაისის საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალ N23.59.125, N23.59.127 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი ხელახალი კონკურსი (დანართის შესაბამისად).

მუხლი 2. საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2020 წლის 16 ნოემბერს 10:00 საათიდან -18:00 საათამდე, კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაცია (პირადობის მოწმობის ასლი) N59 ქუთაისის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N31 (საკონკურსო განაცხადი შეივსება ადგილზე), საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება აგრეთვე ელექტრონულ მისამართზე **59_kutaisi@cec.gov.ge**

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მის.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N138.) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარის მ.შ :



გელა თუთბერიძე

კომისიის მდივნი :

ლარინა ლალიაშვილი

განკარგულება N329/2020 დანართი:

უბნის N	ვაკანტური ადგილების რაოდენობა
N23.59.125	1 (ერთი)
N23.59.127	2 (ორი)